აფხაზეთის მთავრობის
დადგენილება N6
2010 წლის 5 თებერვალი, ქ. თბილისი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ

,,აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" აფხაზეთის კანონის მე-5 მუხლის ,,ბ" პუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს "აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს დებულება";
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს აფხაზეთის მთავრობის 2009 წლის 2 სექტემბრის №14 დადგენილება "აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ".
3. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

მთავრობის თავმჯდომარე *გიორგი ბარამია*

აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს
დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო (შემდგომში - სამინისტრო) არის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულება, რომელიც მინდობილ სფეროში სახელმწიფო მმართველობის უზრუნველსაყოფად მოქმედებს საკუთარი კომპენტეციის ფარგლებში. სამინისტრო თავისი საქმიანობისას ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, აფხაზეთის კონსტიტუციით, საქართველოსა და აფხაზეთის მოქმედი კანონმდებლობით, სხვა ნორმატიული აქტებისა და ამ დებულების საფუძველზე.
2. თავისი ფუნქციების განხორციელებისას სამინისტრო წარმოადგენს აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკას;
3. სამინისტრო ანგარიშვალდებულია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა (შემდგომში - მთავრობა) და საქართველოს შესაბამისი სამთავრობო დაწესებულებების წინაშე და ასრულებს კანონით გათვალისწინებულ და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მიერ კანონის საფუძველზე დაკისრებულ ამოცანებს.
4. სამინისტროს დაფინანსების წყაროა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი.
5. სამინისტრო კანონმდებლობით დადგენილი წესით ანგარიშვალდებულია საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივ გამოყენებაზე.

6. სამინისტროს აქვს დასრულებული ბალანსი, ანგარიში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს ხაზინაში, ხარჯთააღრიცხვა, ბეჭედი და ტიტულოვანი ქაღალდი სახელმწიფო გერბის გამოსახულებით და საკუთარი სახელწოდების აღნიშვნით. სამინისტროს შეუძლია გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ სასამართლოში საკუთარი კომპენტეციის ფარგლებში.

7. სამინისტროს იურიდიული მისამართია: თბილისი 0102, დ. უზნაძის 68.

მუხლი 2. სამინისტროს საქმიანობის სფერო, ძირითადი ამოცანები და კომპეტენცია

1. სამინისტრო არის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულება და შედის საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა სისტემაში.

2. სამინისტრო არის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, მეცნიერების, კულტურის, კულტურული მემკვიდრეობის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სფეროებში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გამტარებელი ორგანო. საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში სამინისტრო ახორციელებს თავის დაქვემდებარებაში მყოფი ყოველი რგოლის საქმიანობის კოორდინაციას და კონტროლს.

3. კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილებათა ფარგლებში სამინისტრო:

ა) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს ერთიან სახელმწიფო პოლიტიკას განათლების, მეცნიერების, კულტურის, კულტურული მემკვიდრეობის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სფეროებში.

ბ) უზრუნველყოფს განათლების სისტემის ინსტიტუციურ და პროგრამულ რეფორმირებას;

გ) ახორციელებს კულტურისა და სპორტის დაწესებულებების ოპტიმალურ ინსტიტუციურ მოწყობას;

დ) ახორციელებს ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის ორგანიზებას;

ე) უზრუნველყოფს განათლების, მეცნიერების, კულტურის, კულტურული მემკვიდრეობის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სფეროებში არასახელმწიფო სექტორის როლის ზრდას და ინსტიტუციური მართვის გაუმჯობესებას;

ვ) ახორციელებს და ხელს უწყობს სამშვიდობო მიმართულებით ინიციატივების და პროგრამების განხორციელებას სამშვიდობო განათლებისა და კულტურის დანერგვის მიზნით;

ზ) ახორციელებს აფხაზეთში არსებული ისტორიული მემკვიდრეობისა და კულტურული ტრადიციების წარმოჩენას და დაცვას;

თ) ახორციელებს განათლების, მეცნიერების, კულტურის, კულტურული მემკვიდრეობის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სფეროებში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად პროგრამულ დაფინანსებას;

ი) უზრუნველყოფს განათლების, მეცნიერების, კულტურის, კულტურული მემკვიდრეობის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სფეროებში, კანონის საფუძველზე და მის შესასრულებლად კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიღებას;

კ) უზრუნველყოფს თავისი საქმიანობის სფეროში საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების აღსრულებას;

ლ) უზრუნველყოფს მთავრობის მიერ განათლების, მეცნიერების, კულტურის, კულტურული მემკვიდრეობის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სფეროებში, დამტკიცებული მიზნობრივი პროგრამების მართვას, განხორციელებასა და კონტროლს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

მ) ახორციელებს საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

4. დაკისრებულ ამოცანათა შესასრულებლად თავისი კომპეტენციის ფარგლებში სამინისტრო:

ა) ახორციელებს სახელმწიფო კონტროლს მის დაქვემდებარებაში მყოფ დაწესებულებებზე;

ბ) გამოითხოვს მასალებს ან ადგილზე შეისწავლის მის დაქვემდებარებაში მყოფ დაწესებულებებში კანონმდებლობის ნორმებისა და წესების მოთხოვნების შესრულებას;

გ) კანონმდებლობით დადგენილი წესითა და პროცედურების დაცვით იბარებს, შეისწავლის მის დაქვემდებარებაში მყოფი დაწესებულებების მიერ გასული წლის საქმიანობის ანგარიშს სასწავლო პროცესისა და ფინანსური მდგომარეობის შესახებ;

დ) აწარმოებს მის დაქვემდებარებაში მყოფ დაწესებულებების რეესტრს;

ე) რეგისტრაციაში ატარებს საჯარო სკოლის დირექტორებს, დირექტორების მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში მათი მოვალეობის შემსრულებელ მოადგილეებს, ასევე, სამეურვეო საბჭოს წევრებს კანონმდებლობით დადგენილი წესით და აღნიშნულ მონაცემებს განმეორებით სარეგისტრაციოდ უგზავნის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს;

ვ) ატარებს საჯარო სკოლის დირექტორთა კანდიდატების შესარჩევ კონკურსს და სამეურვეო საბჭოს ასარჩევად წარუდგენს არა უმეტეს სამ კანდიდატს;

ზ) მონაწილეობს განათლების, მეცნიერების, კულტურის, კულტურული მემკვიდრეობის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სფეროში სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენციების, სიმპოზიუმების, გამოფენების, საკონცერტო ჩვენების, სახალხო დღესასწაულების, მასობრივი ღონისძიებების, სპორტული შეჯიბრებებისა და სხვა კონკურსების გამართვაში;

თ) განათლების, მეცნიერების, კულტურის, კულტურული მემკვიდრეობის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სფეროებში საჯარო სამართლის იურიდიულ პირად დაფუძნებისა და მათი წესდებების დამტკიცების, აგრეთვე, მათი რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ წინადადებებს წარუდგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ან საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს;

ი) უზრუნველყოფს სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობის კანონიერებისა და მიზანშეწონილობის მონიტორინგსა და კონტროლს.

კ) ახორციელებს საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 3. სამინისტროს ხელმძღვანელობა

1. სამინისტროს ხელმძღვანელობს მინისტრი, რომელიც კანონმდებლობის ფარგლებში ერთმმართველობის პრინციპზე დაყრდნობით, საქართველოს კონსტიტუციით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით, საქართველოს და აფხაზეთის კანონმდებლობით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებებითა და ამ დებულებით დადგენილ ფარგლებში ახორციელებს სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების,

ტერიტორიული დაწესებულებებისა და სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების მართვას, კოორდინაციასა და კონტროლს.

2. მინისტრს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე.

3. მინისტრი:

ა) ხელმძღვანელობს სამინისტროს, წარმართავს მის საქმიანობას და წყვეტს სამინისტროს გამგეობის სფეროსთვის მიკუთვნებულ საკითხებს;

ბ) პასუხისმგებელია საქართველოს და აფხაზეთის მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესრულებაზე;

გ) თვალყურს ადევნებს სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების, ტერიტორიული ორგანოებისა და სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ თავიანთი მოვალეობების შესრულებას, საქმიანობის კანონიერებას და მიზანშეწონილობას;

დ) ამტკიცებს სამინისტროს საშტატო ნუსხას, შინაგანანაწესს და სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების დებულებებს;

ე) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სამინისტროს საშტატო განრიგით გათვალისწინებულ საჯარო მოსამსახურეებს, სამინისტროს ტერიტორიული დაწესებულებების ხელმძღვანელებს და მათ მოადგილეებს;

ვ) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას წარუდგენს ანგარიშს სამინისტროს საქმიანობის შესახებ. ასევე, წარუდგენს წინადადებებს სამინისტროს წლიური ბიუჯეტისა და აუცილებლობის შემთხვევაში, დამატებითი ბიუჯეტის პროექტის შესახებ.

ზ) იღებს გადაწყვეტილებებს საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივი გამოყენების შესახებ და პასუხს აგებს ბიუჯეტის შესრულებაზე;

თ) უფლებამოსილია თავისი მმართველობის სფეროში შექმნას სათათბირო ორგანოები, კომისიები და საბჭოები;

ი) წყვეტს სამართლებრივ დავებს სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფებსა და დაქვემდებარებარებაში მყოფ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს შორის;

კ) პასუხისმგებელია სახელმწიფო ქონების დაცვა-გამოყენებაზე და ორგანიზაციას უწევს ამ საქმიანობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ლ) წარმოადგენს სამინისტროს მესამე პირებთან ურთიერთობაში;

მ) ანაწილებს ფუნქციებს მოადგილეებსა და სხვა თანამდებობის პირებს შორის;

ნ) სამსახურებრივი ზედამხედველობის განხორციელების მიზნით გამოსცემს სამართლებრივ აქტებს;

ო) ასრულებს საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით, მთავრობის დადგენილებითა და განკარგულებით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

4. მინისტრს ჰყავს 2 მოადგილე, მათ შორის ერთი – პირველი მოადგილე. მინისტრის მოადგილეებს, მინისტრის წარდგინებით, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე.

5. მინისტრის არყოფნისას მინისტრის პირველი მოადგილე ხელმძღვანელობს სამინისტროს საქმიანობას და კოორდინაციას უწევს სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების,

ტერიტორიული ორგანოებისა და, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სამინისტროს სისტემაში შემავალი დაწესებულებების საქმიანობას.

მუხლი 4. სამინისტროს სისტემა

1. სამინისტრო შედგება შემდეგი სტრუქტურული ქვედანაყოფებისაგან:
ა) მინისტრის აპარატი;
ა.ა) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველო;
ბ) ადმინისტრაციულ და იურიდიულ საკითხთა დეპარტამენტი;
ბ.ა) იურიდიული, საქმისწარმოებისა და კადრების სამმართველო;
ბ.ბ) საბიუჯეტო–საფინანსო სამმართველო;
ბ.გ) მატერიალურ–ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველო;
გ) განათლების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი;
გ.ა) განათლების სამმართველო;
გ.ბ) კულტურის, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამმართველო;
გ.გ) სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამმართველო;
დ) პროგრამებისა და საინფორმაციო – ანალიტიკური დეპარტამენტი;
დ.ა) პროგრამების, ანალიტიკური საქმიანობისა და კვლევების სამმართველო.
ე) შიდა აუდიტის სამსახური. (სსმ III, N91, მუხლი 1348, 27.07.2010)

2. სამინისტროს ტერიტორიული ორგანოებია – საგანმანათლებლო რესურს-ცენტრები:
ა) გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრი;
ბ) ზემო აფხაზეთის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრი.
3. სამინისტროს მმართველობის სფეროში შედის შემდეგი საჯარო სამართლის იურიდიული პირები:
ა) საჯარო სამართლის იურიდიული პირი – აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი;
ბ) საჯარო სამართლის იურიდიული პირი – აფხაზეთის მოზარდ–მაყურებელთა სახელმწიფო თეატრი “თეთრი ტალღა”;
გ) საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი;
დ) საჯარო სამართლის იურიდიული პირი – “აფხაზეთის სპორტული მომზადების ცენტრი”;
ე) საჯარო სამართლის იურიდიული პირი – “აფხაზეთის მედია–ცენტრი”;
ვ) საჯარო სამართლის იურიდიული პირი – კინოცენტრი “აფხაზეთი”;
ზ) საჯარო სამართლის იურიდიული პირი ,,აფხაზეთის მოზარდ-ახალგაზრდობის შემოქმედებითი ცენტრი”. (სსმ III N91 მუხლი 1347, 27.07.2010)

მუხლი 5. სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების კომპეტენცია

1. მინისტრის აპარატის კომპეტენციაა:
ა) მინისტრის საქმიანობის ორგანიზაციული და ადმინისტრაციული უზრუნველყოფა;

ბ) მინისტრის თათბირების ორგანიზება და ოქმების შედგენა;

გ) მინისტრის შეხვედრების განრიგის დაგეგმვა და შეხვედრების მომზადება, პროტოკოლის უზრუნველყოფა;

დ) მინისტრის მივლინებების ორგანიზება;

ე) მინისტრის საქმიანობის საინფორმაციო უზრუნველყოფა, მისი საჯარო გამოსვლების მომზადება, სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში რჩევების მიწოდება;

ვ) მინისტრის არაგეგმური დავალებებისა და ბრძანებების შესრულება და მათი შესრულების მონიტორინგი;

ზ) მინისტრის სახელმწიფო დაწესებულებებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის, აგრეთვე, უცხო ქვეყნებთან კავშირის კოორდინაცია;

თ) მინისტრის მისაღების ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

ი) სამინისტროს საქმიანობის გეგმის შედგენის კოორდინაცია;

კ) საზოგადოებრივი საბჭოს სხდომების ორგანიზება;

ლ) მასმედიასთან ურთიერთობა პრესკონფერენციების, ბრიფინგებისა და, სხვა საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით, სამინისტროს საზოგადოებრივი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება;

მ) განახორციელოს სამინისტროს საქმიანობის შესახებ საზოგადოების ინფორმირება, მათ შორის სამინისტროს საქმიანობის ამსახველი საგამომცემლო მასალის მომზადება და სამინისტროს ვებგვერდზე განთავსება;

ნ) კანონმდებლობით და მინისტრის მიერ კანონმდებლობის საფუძველზე განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება.

2. ადმინისტრაციულ და იურიდიულ საკითხთა დეპარტამენტის კომპეტენციაა:

ა) სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში ნორმატიული აქტების პროექტების შემუშავება და მათი კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღების ხელშეწყობა;

ბ) განახორციელოს სამინისტროს პროგრამებით გათვალისწინებული ღონისძიებების სამართლებრივი უზრუნველყოფა;

გ) თანამშრომლობდეს და აწარმოებდეს ურთიერთობებს სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფებთან და სამინისტროს სისტემაში შემავალ ერთეულებთან;

დ) მონაწილეობდეს სამინისტროში შექმნილი სამუშაო ჯგუფებისა და კომისიების საქმიანობაში და სამართლებრივად აფორმებდეს მიღებულ გადაწყვეტილებებს;

ე) უზრუნველყოს სამინისტროს სისტემაში შემავალი ერთეულების ოპტიმიზაციასთან დაკავშირებული სამართლებრივი პროცედურების განხორციელება;

ვ) წარმოადგინოს სამინისტრო ყველა ინსტანციის სასამართლოში;

ზ) განიხილოს სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების, ფიზიკურ და იურიდიულ პირთა კორესპონდენციები, განახორციელოს სამართლებრივ საკითხებზე კონსულტაციები;

თ) განახორციელოს სამინისტროს ხელმძღვანელობის, სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და სამინისტროს სისტემაში შემავალი ერთეულების საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფა;

ი) მოამზადოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტების პროექტები და უზრუნველყოს სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების მიერ მომზადებული ინდივიდუალური

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენა;

კ) სამინისტროს სისტემაში შემავალი ერთეულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აღრიცხვა და ამ ბაზასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მომზადება;

ლ) სამინისტროს ბიუჯეტის პროექტის შემუშავება;

მ) სამინისტროს ფინანსური სახსრების მართვა;

ნ) სამინისტროს საშტატო ნუსხის შედგენაში მონაწილეობა და მისი შედგენა;

ო) სამინისტროსათვის საჭირო საბუღალტრო აღრიცხვა, სამინისტროს სისტემაში შემავალი ერთეულების ფინანსური ანგარიშგების შემოწმება და ბალანსის შედგენა;

პ) სამინისტროს შესყიდვების განხორციელება;

ჟ) სამინისტროს შენობა-ნაგებობათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოვლა-განახლება;

რ) სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური, მათ შორის საკომუნიკაციო და ელექტრონული უზრუნველყოფა;

ს) სამინისტროს საქმიანობაში თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვის გზით სამინისტროს გამართული ფუნქციონირებისათვის ხელშეწყობა;

ტ) სამინისტროს საქმიანობის ინსტრუქციების შემუშავების კოორდინაცია;

უ) სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფ(ებ)ის დებულებ(ებ)ის შემუშავების კოორდინაცია;

ფ) სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში სამინისტროს სისტემის მოსამსახურეთა კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად დანიშვნის, სხვა თანამდებობაზე გადაყვანის, წახალისების, გათავისუფლების, შვებულების, მივლინებისა და კვალიფიკაციის ამაღლების, აგრეთვე სამინისტროში სტაჟიორად აყვანის შესახებ წინადადებებისა და ბრძანებების პროექტების მომზადება;

ქ) სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში სამინისტროს სისტემის მოსამსახურეთა პირადი საქმეების შედგენა და წარმოება, სამინისტროს სისტემის მოსამსახურეთა შესახებ მონაცემთა ბაზის შექმნა, მისი სრულყოფა და სისტემატიზაცია;

ღ) სამინისტროს სისტემაში კანონმდებლობით დადგენილი წესით კონკურსისა და ატესტაციის გამართვის ორგანიზება, აგრეთვე სტაჟირებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტის უზრუნველყოფა;

ყ) სამინისტროს სისტემის მოსამსახურეთა პროფესიული მომზადებასა და გადამზადებასთან დაკავშირებული წინადადებების შემუშავება და ორგანიზაციული საკითხების უზრუნველყოფა;

შ) სამინისტროს ერთიანი საქმისწარმოების ორგანიზება და დამკვიდრება;

ჩ) სამინისტროში ოფიციალურად შესული და გასული კორესპონდენციის რეგისტრაცია, სისტემატიზაცია და მისი ოპერატიული მიწოდება სამინისტროს ხელმძღვანელობისა და შემსრულებლებისათვის;

ც) სამინისტროს კორესპონდენციების, მათ შორის კონტროლზე აყვანილი დავალებების, დადგენილ ვადებში შესრულების კონტროლი;

ძ) საიდუმლო საქმისწარმოების განხორციელება, მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შესაბამის ინფორმაციასა და დოკუმენტაციასთან დაკავშირებით საიდუმლოების რეჟიმის დაცვის უზრუნველყოფა;

წ) საქმისწარმოებაში დასრულებული დოკუმენტაციის აღრიცხვა, დამუშავება და გადაცემა არქივისათვის არსებული წესის თანახმად;

ჭ) სამინისტროს მისაღების ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

ხ) კანონმდებლობით და მინისტრის მიერ კანონმდებლობის საფუძველზე განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება.

3. განათლების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის კომპეტენციაა:

ა) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული სასწავლო გეგმების, პროგრამების, მეთოდური მასალებისა და სხვა ნორმატიული დოკუმენტების სასწავლო დაწესებულებებში დაყვანა;

ბ) საგანმანათლებლო პროგრამების შესრულებაზე ყველა საგანში კონტროლის განხორციელება;

გ) სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საგანმანათლებლო რესურს-ცენტრების მატერიალური საჭიროებების განსაზღვრა;

დ) ტერიტორიული ორგანოების საგანმანათლებლო რესურს-ცენტრების მუშაობაზე კონტროლისა და კოორდინაციის გაწევა;

ე) სამინისტროსა და საგანმანათლებლო რესურს-ცენტრების მოქმედებათა ჰარმონიზაციის უზრუნველყოფა;

ვ) ორგანიზების გაწევა საჯარო სკოლების დირექტორების შესარჩევი კონკურსისათვის;

ზ) საგანმანათლებლო, კულტურულ–საგანმანათლებლო და სპორტულ–აღმზრდელობით სფეროში დასაქმებულთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნველყოფა;

თ) საგანმანათლებო, კულტურულ, სპორტულ და სხვა დაწესებულებებში ქართული და აფხაზური ენების, ენობრივი ნორმების დაცვის უზრუნველყოფა;

ი) სამშვიდობო განათლების, პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის, პროფესიული განათლებისა და საბაზო კომპეტენცების სისტემატური დაუფლების პროგრამების განხორციელებაზე ხელის შეწყობა;

კ) ინოვაციური პროგრამების განხორციელებისათვის დამატებითი სახსრების მოზიდვის მიზნით, დაამყაროს პარტნიორული ურთიერთობები სახელმწიფო, არასამთავრობო, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და საზოგადოებრივ ასოციაციებთან;

ლ) კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციებში სასწავლო აღმზრდელობითი პროცესების მიმდინარეობაზე კონტროლის განხორციელება;

მ) პროფესიული ხელოვნების დარგების (თეატრალური, მუსიკალური, სახვითი, კინო, ქორეოგრაფიული) განვითარების სტრატეგიის შემუშავება, პროფესიონალ შემოქმედთა, ინდივიდუალურ შემსრულებელთა და შემოქმედებითი კოლექტივების მუშაობის (საგასტროლო და საკონცერტო, საკონკურსო და საფესტივალო, საგამოფენო და ა.შ. მოღვაწეობა) ხელშეწყობა და მიღწევების პოპულარიზაციის უზრუნველყოფა;

ნ) ლიტერატურული და საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობასა და ამ მიზნით პროგრამების, წინადადებების, გეგმების შემუშავება; ხალხური ხელოვნების დარგების (ქორეოგრაფია, მუსიკა, თეატრი, სახვითი, ზეპირსიტყვიერება, ხალხური რეწვა, ფოლკლორულ-სანახაობითი) დაცვა-განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია;

ო) მასობრივი სპორტული, ახალგაზრდული სასწავლო-შემეცნებითი პროგრამების ორგანიზება და განხორციელება;

პ) ბავშვთა და მოზარდთა სპორტული აღზრდის პროცესის მიმდინარეობაზე კონტროლი;

ჟ) აფხაზეთის ძირძველი მემკვიდრეობის საინფორმაციო ბაზის შექმნა და მისი პოპულარიზაცია, ამ მიზნით სპეციალური გამოცემების, ვებ-გვერდების, ფილმების მომზადება;

რ) შესაძლებლობის ფარგლებში აფხაზეთში არსებული მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენის, შენარჩუნებისა და პოპულარიზაციის ღონისძიებათა განხორციელება და მათი ხელშეწყობა. ძეგლებისა და კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების აღრიცხვა, ექსპერტიზა, პასპორტიზაცია, კულტურული მემკვიდრეობის ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნა;

ს) კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ღონისძიებათა განხორციელების უზრუნველყოფა, მისი შესწავლისა და მოვლა-პატრონობის მეთოდოლოგიის შემუშავება;

ტ) სამშვიდობო განათლებისა და კულტურის უზრუნველყოფის მიზნით ქვეყნის ერთიანი პოლიტიკის ორგანიზება-კოორდინაციაზე ზრუნვა;

უ) კანონმდებლობით და მინისტრის მიერ კანონმდებლობის საფუძველზე განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება.

4. პროგრამებისა და საინფორმაციო – ანალიტიკური დეპარტამენტის კომპეტენციაა:

ა) მონაწილეობა მიიღოს სამინისტროს საქმიანობის დაგეგმვაში;

ბ) უფლებამოსილებების ფარგლებში საგანმანათლებლო, კულტურისა და სპორტის სფეროში პროგრამებისა და პროექტების კოორდინაციის უზრუნველყოფა;

გ) სამინისტროს საჭიროებებიდან გამომდინარე ღონისძიებების, კონკურსების, ფესტივალების, კონცერტების, გამოფენების, კონფერენციების, სიმპოზიუმების ჩატარებისათვის ხელშეწყობა;

დ) სკოლამდელ აღზრდა/სწავლებასთან და სასკოლო ინიციატივებთან დაკავშირებული, ასევე, სამოქალაქო ინტეგრაციაზე ორიენტირებული და საერთაშორისო პროგრამების შემუშავება და მათი განხორციელება; ასევე, მეცნიერების მართვისა და განსაკუთრებული საჭიროების მქონე არასრულწლოვანთა საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტულ ღონისძიებებში ჩართულობის უზრუნველსაყოფად პროგრამებისა და პროექტების შემუშავება და მათი განხორციელება;

ე) სამინისტროს მართვის სფეროში ინფორმაციული სისტემების დანერგვის ხელშემწყობი პროგრამებისა და პროექტების შემუშავება და განხორციელება;

ვ) მასწავლებელთა და მოსწავლეთათვის ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებითი უნარების გადაცემის უზრუნველყოფა;

ზ) სამინისტროს მმართველობის სფეროში მიმდინარე პროცესების, მათ შორის სამინისტროს მიერ განსახორციელებელი პროგრამებისა და პროექტების დაგეგმვა, განხორციელება და შედეგების უშუალოდ ან მესამე პირების მეშვეობით კვლევა;

თ) წარუდგინოს მინისტრს წინადადებები განათლების სისტემის ინსტიტუციური და პროგრამული რეფორმების თაობაზე;

ი) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სამინისტროში შემოსული საპროექტო დოკუმენტაციის განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისათვის საკითხების მომზადება;

კ) მოახდინოს ბავშვთა და ახალგაზრდობის საქმეთა სფეროში სამთავრობო პოლიტიკის განხორციელების კოორდინაცია;

ლ) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ენის განვითარებისა და პოპულარიზაციის ხელშეწყობა;

მ) განახორციელოს განათლების, კულტურისა და სპორტის მიმართულებით მიმდინარე პროცესების კვლევა და შეფასება, უზრუნველყოს მათი განვითარების პროგნოზირება;

ნ) ორგანიზება გაუწიოს სახელოვნებო, სასპორტო და საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა სახის სტატისტიკური მონაცემების შეგროვებას;

ო) სამინისტროს საჭიროებებიდან გამომდინარე, ხელი შეუწყოს ლიტერატურული და საგამომცემლო საქმიანობასა და ამ მიზნით შეიმუშაოს პროგრამები, წინადადებები და გეგმები;

პ) ეროვნულ უმცირესობათა ენების დაცვის სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობა;

ჟ) სამინისტროს საინფორმაციო საჭიროებებიდან გამომდინარე სტატისტიკური მონაცემების შეგროვება, დამუშავება და მათი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, მონაცემთა ბაზის დადგენა.

ს) უზრუნველყოს სამინისტროს მიერ განხორციელებული საქმიანობების ანალიზი და შედეგების კვლევა;

ტ) აწარმოოს უმაღლეს და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა, მათ შორის მოსწავლეთა და სტუდენტთა პერსონალური მონაცემების, ასევე, სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ დაწესებულებათა რეესტრი;

უ) ახალგაზრდა შემოქმედთა და მეცნიერთა, განსაკუთრებით ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდების მხარდაჭერის მიზნით, პროგრამების შემუშავება და მათი განხორციელების კოორდინაციის უზრუნველყოფა და პროგრამების განხორციელების შესახებ ანალიტიკური კვლევის შედეგების წარდგენა;

ფ) სამინისტროს დაქვემდებარებული დაწესებულებების ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნა.

5. შიდა აუდიტის სამსახურის უფლებამოსილება და კომპეტენციაა:

ა) საკითხების სისტემური, კომპლექსური შესწავლისა და რისკის მართვის, კონტროლისა და მმართველობითი პროცესების შეფასების გზით დაწესებულების საქმიანობის სრულყოფა, ფინანსების მართვის გაუმჯობესება, სახსრების, სხვა მატერიალური ფასეულობების ხარჯვისა და გამოყენების კანონიერების, მიზნობრიობის დაცვისა და ეფექტიანობის გაზრდის ხელშეწყობა, დაწესებულების ფუნქციონირებისა და მართვის პროცედურების მწარმოებლურობის, სამართლებრივი, ტექნიკური და ფუნქციური ხარვეზების აღმოფხვრა და პრევენცია;

ბ) სამინისტროს წინაშე არსებული რისკების დადგენა და შეფასება;

გ) სამინისტროში ფინანსების მართვისა და კონტროლის სისტემის ადეკვატურობისა და ეფექტიანობის შეფასება;

დ) სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების მიერ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვის კონტროლის განხორციელება;

ე) სამინისტროს ფუნქციონირებისა და მართვის პროცედურების მწარმოებლურობის, ეფექტურობის და ეკონომიურობის გაზრდის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება;

ვ) სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების საქმიანობაში მოსალოდნელი დარღვევების ან/და სამსახურებრივი გადაცდომების პრევენცია ან/და მათი რისკ-ფაქტორების გამოვლენა და ანალიზი;

ზ) სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების თანამშრომელთა მიერ სამართალდარღვევათა და სამსახურებრივ გადაცდომათა ჩადენის ფაქტების გამომწვევი და ხელშემწყობი მიზეზების დადგენა;

თ) სამინისტროში დისციპლინისა და კანონიერების დაცვის სამსახურებრივი კონტროლის განხორციელება;

ი) სამინისტროს მოსამსახურეთა მიერ მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და კანონიერი ინტერესების, სამსახურებრივ გადაცდომათა და სხვა მართსაწინააღმდეგო ქმედებათა ჩადენის ფაქტების გამოვლენა, ამ ფაქტებთან დაკავშირებული განცხადებების შესწავლა და შესაბამისი რეაგირება;

კ) სამინისტროს მოსამსახურეთა მიერ სამსახურებრივი გადაცდომის ჩადენის ფაქტებზე სამსახურებრივი შემოწმების ჩატარება, შემოწმების შედეგების შესახებ დასკვნის შედგენა და მინისტრისათვის წარდგენა;

ლ) სამინისტროს მოსამსახურეთა მიერ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების ხელშემწყობი მიზეზების დადგენისა და პრევენციის, სამინისტროს სისტემის ორგანოების საქმიანობაში აღმოჩენილი ხარვეზებისა და მათი გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრის მიზნით მინისტრისათვის შესაბამისი რეკომენდაციების წარდგენა;

მ) სამინისტროს მოსამსახურეების მიერ ინტერესთა შეუთავსებლობის ფაქტების გამოვლენა, მათ მიერ სამსახურებრივი ეთიკის წესების შესრულებაზე კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება;

ნ) სამინისტროს საქმიანობის საჯაროობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, საზოგადოებრივი კონტროლის მექანიზმების ჩამოყალიბების ხელშეწყობა და მხარდაჭერა, კანონიერების დაცვის სფეროში საზოგადოების მხარდაჭერის მოპოვება;

ო) სამინისტროს სპეციფიკიდან გამომდინარე სხვა საქმიანობის განხორციელება, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას, ,,სახელმწიფო შიდა აუდიტისა და ინსპექტირების შესახებ;

პ) შიდა აუდიტის სამსახურის უფლებამოსილება განისაზღვრება საქართველოს კანონით ,,სახელმწიფო შიდა აუდიტისა და ინსპექტირების შესახებ". შიდა აუდიტის სამსახურს უფლება აქვს განახორციელოს ფართო, ყოვლისმომცველი აუდიტის პროგრამა, რომელიც მოიცავს უზრუნველყოფას და საკონსულტაციო მომსახურებას სამინისტროში და სამინისტროს დაქვემდებერების ქვეშ მყოფ ორგანოებში, სადაც არ არსებობს შიდა აუდიტის განმახორციელებელი სამსახურები.

მუხლი 6. სამინისტროს თანამდებობის პირები

1. სამინისტროს თანამდებობის პირები არიან:

ა) სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და მათი შიდა სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები;

ბ) სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები;

გ) სამინისტროს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელები.

2. სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი უშუალოდ ემორჩილება მინისტრს, მინისტრის პირველ მოადგილეს ან მინისტრის მოადგილეს.

3. სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი:

ა) ანაწილებს მოვალეობებს მისდამი დაქვემდებარებული სტრუქტურული ქვედანაყოფის მოსამსახურეებს შორის და აძლევს მათ მითითებებსა და განკარგულებებს;

ბ) ზედამხედველობს სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის მოსამსახურეების მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებას;

გ) ხელს აწერს ან ვიზას ადებს სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფში მომზადებულ დოკუმენტებს;

დ) ანგარიშვალდებულია სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის მუშაობისათვის;

ე) წარმოადგენს სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფს თავისი მოვალეობების შესრულებისას და სტრუქტურული ქვედანაყოფის სახელით წარუდგენს დასკვნებს მინისტრის მოადგილეს, რომელიც მინისტრის ბრძანების შესაბამისად ხელმძღვანელობს ამ სტრუქტურულ ქვედანაყოფს;

ვ) წარუდგენს სამინისტროს ხელმძღვანელობას წინადადებებს სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის სტრუქტურის, შტატების, მუშაობის ორგანიზების, სტრუქტურული ქვედანაყოფის მოსამსახურეების წახალისების ან მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;

ზ) შუამდგომლობს იმ სახსრების გამოყოფის თაობაზე, რომლებიც საჭიროა სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის ამოცანათა შესასრულებლად;

თ) შუამდგომლობს სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ამაღლების შესახებ;

ი) ასრულებს ამ დებულებით, სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის დებულებით, მინისტრის ან/და უშუალო ხელმძღვანელის მიერ განსაზღვრულ ამოცანებს.

მუხლი 7. სამინისტროს საშტატო შემადგენლობა

1. სამინისტროს საშტატო შემადგენლობაში არიან:

ა) მინისტრის მრჩევლები;

ბ) მინისტრის (მინისტრის მოადგილეების) თანაშემწეები;

გ) სამინისტროს სპეციალისტები.

2. მინისტრის მრჩევლები და თანაშემწეები უშუალოდ ემორჩილებიან მინისტრს. მათ თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მინისტრი. მინისტრის მრჩეველი და თანაშემწე თანამდებობაზე ინიშნებიან მინისტრის უფლებამოსილების ვადით.

მუხლი 8. სამინისტროს ტერიტორიული ორგანოები

სამინისტროს ტერიტორიული ორგანოებია: საგანმანათლებლო რესურს-ცენტრები. საგანმანათლებლო რესურს-ცენტრების მმართველობის სფერო, უფლებამოსილებები და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები განისაზღვრება საგანმანათლებლო რესურს-ცენტრების ტიპური დებულებით, რომელსაც ამტკიცებს მინისტრი.

მუხლი 9. დასკვნითი დებულებები

1. სამინისტროს დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2. სამინისტროს რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.